



# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



შესაბამისად, კერძოდ, პირველ რიგში, ხელისუფლება და ოპოზიცია იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და უზენაესი სასამართლოს დაკომპლექტების კონსენსუსზე ორიენტირებულ წესზე უნდა შეთანხმდნენ, რაც ხელს შეუწყობს სისტემაში კლანური მმართველობის აღმოფხვრას და ხელისუფლების არასათანადო გავლენების შესუსტებას.

აღნიშნულთან ერთად, კოალიცია მიიჩნევს რომ აუცილებელია ხელისუფლების, პოლიტიკური აქტორების და არასამთავრობო სექტორის მონაწილეობით შეიქმნას მართლმსაჯულების სისტემაში არსებული ვითარების შემსწავლელი კომისია, რომელიც სიღრმისეულად შეაფასებს სასამართლოში არსებულ პრობლემებს, წარსულის გამოცდილებას და პოლიტიკური გავლენების ქვეშ მოქცეულ სასამართლოს. კომისიის მიერ მომზადებულ ანგარიშზე დაყრდნობით, პარლამენტმა უნდა მიიღოს პოლიტიკური შინაარსის რეზოლუცია, რომლის საფუძველზე უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს სასამართლოში კლანური მმართველობის დემონტაჟი.

შესაბამისად, ამ ძირითად საკითხებზე შეთანხმების გარეშე აზრს მოკლებულია ყოველგვარ პროცედურულ გაუმჯობესებაზე მსჯელობა, ვინაიდან ქართული მართლმსაჯულების სისტემის პრობლემას, არა პროცედურული საკითხების მოუნესრიგებლობა, არამედ ხელისუფლების გავლენები და არაფორმალური ჯგუფების უკონტროლო ძალაუფლება წარმოადგენს.